



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ამერიკათმცოდნეობის პროგრამა

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ცივი ომის შემდგომ პერიოდში
(1990-2016) რეგიონალურ დონეზე, აშშ-საქართველოს ურთიერთობების
მაგალითზე: ტრანსნაციონალური საფრთხეებიდან (მათ შორის
მიგრაცია) ინსტიტუციონალურ ტრანსფორმაციის გაძლიერებამდე.

ეკა ბერაია

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი, დოქტორი : ვახტანგ მაისაია

(კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა) _____

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

პროფესორი, დოქტორი ირინა ბახტაძე _____

პროფესორი, დოქტორი ნიკა ჩიტაძე _____

ოპონენტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

ასოც. პროფესორი, დოქტორი მამია სურმავა _____

დოქტორი ანჟეი კლიმჩუკი _____

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მოვლენები ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფოების სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მომავალ განვითარებაზე, განსაკუთრებით გლობალური პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრის აზრით, კვლავ რჩება რამოდენიმე უარყოფითი ფაქტორი, რაც განაპირობებს ზესახელმწიფოების გავლენას პროცესებსა და, ზოგადად, საგარეო პილიტიკის შედეგების რაობაზე.

დღევანდელი გლობალური პოლიტიკური ვითარება უდაოდ განსხვავდება კლასიკური ცივი ომის დროინდელისაგან, ასევე იმ პერიოდისაგან, როდესაც გლობალური ძალაუფლება ბიპოლარულიდან გარდაიქმნა ერთპოლარულად, შემდგომ კი მრავალპოლარულ მსოფლიო წესრიგად იქცა. აშშ-მ უპირატესობა მიანიჭა თავის გეოპოლიტიკურ საქმიანობას, საგარეო პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს და შეისწავლა სხვადასხვა დონეზე, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივ დონეზე, მათი მიღწევის საშუალებები. მეტიც, აშშ-ს საგარეო საქმეთა პოლიტიკის მესვეურებს სწადიათ გამოკვეთონ „ახალი გეოპოლიტიკური ერთეულები და გეოგრაფიული არეალები კასპიის ზღვის აუზში, რასაც აკადემიურ წრეებში კავკასიურ-კასპიურ რეგიონს უწოდებენ“ (კავკასიურ-კასპიურ რეგიონის მომავლის ხედვა და მისი ევროპული განზომილება, 2007წ.). მეტწილად, პოსტბიპოლარულ პერიოდში წარმოიქმნა ახალი რეალობა, რომელიც განაპირობებს აშშ-ში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. საგარეო პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნების სათანადო გზით მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება „რბილი ძალა“ „ჭკვიანი ძალასა“ და „ხისტ ძალა“-სთან ერთად (ნაი, 2009წ.). ბოლო დროს გამოვლენილ მიდგომებს უმეტესად უფრო ძლიერად შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და წარმართონ ისინი საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან მეტად შესაბამისობაში. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომები ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად გვევლინება სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების (განსაკუთრებით, მიგრაციის საკითხების) დაძლევაში.

აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების საკითხები რჩება გადაუჭრელი თანამედროვე პოლიტიკურ არენაზე. 11 სექტემბრის მოვლენა მიიჩნევა უსაფრთხოების საკითხის

გადაჭრის საჭიროების გარემოებად, რამაც ანტიტერორისტული კომპანია დააწყებინა აშშ-ს, ხოლო სამხედრო ძალების საპასუხო ქმედებას მიზნად ჰქონდა სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა. ინდივიდუალური უსაფრთხოება განიხილება აღნიშნული საკითხის სხვა წახნაგად და ეხება სახელმწიფოს შიგნით ინდივიდუალურ და ჯგუფების უსაფრთხოებას (ქოენი, 2009წ.). ცივი ომის შემდგომ პერიოდში აღნიშნული საკითხი აქტუალური გახდა და ადამიანის ზოგადსაკაცობრიო უფლებების გაძლიერების ერთ-ერთი ღირებული ცნების მნიშვნელობა შეიძინა. დღეს, აშშ-ს ძალუმს გაატაროს თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები და წინ წაწიოს თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ და გლობალურ უსაფრთხოებასთან, თვით პოსტსაბჭოთა სივრცეში, ცივი ომის დროს, აშშ-ს არ ჰქონდა შესაძლებლობა იგი გაეტარებინა.

პრობლემის ანალიზი

ომის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე მრავალი რთული ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, პრობლემატური საკითხი უნდა სათანადოდ და ზუსტად დაისვას. წინამდებარე კვლევის აზრი უნდა გამოვლინდეს და მის ყოველ დეტალზე ნამსჯელი იყოს. კვლევა მოიცავს რეგიონალურ საქმეებში საქმიანობის ადრინდელი სტადიის განხილვას, ასიმეტრიულ გამოწვევებს, კერძოდ: კავკასიურ-კასპიურ რეგიონში და ადგილობრივ დონეზე - საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთთანამშრომლობის დაწყება; ამასთან, რადგან ეს პოლიტიკა ხორციელდებოდა აშშ-ს სამი ადმინისტრაციის ეგიდით - კლინტონის, ბუშისა და ობამასი, ნათლად ჩანს, რომ ტრამპის ადმინისტრაციაც გააგრძელებს ამ კურსს. მეტიც, საქართველო - აშშ-ს სტრატეგიული ურთიერთობა მხარს უჭერს პოლიტიკური განვითარების ინსტიტუციონალურ მექანიზმს და უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული შეკითხვა წარმოადგენს ზემოაღნიშნული საკითხების მაქსიმალურად შესაძლებელი განხილვის მცდელობას.

საჭიროა ავღნიშნოთ ქართულ ენაზე ანალიტიკური კვლევების ნაკლებობა, რაც წარმოადგენს ძირითად მიზეზს ქართული საზოგადოების (განსაკუთრებით,

საქართველოს რეგიონებში) გაუთვითცნობიერებას აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნებში, საერთაშორისო ურთიერთობების ნამდვილ პროცესებსა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, სადაც აშშ წამყვან როლს თამაშობს. საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე აშშ-ს ზეგავლენის გაგების სპეციფიკა არ არის სრულად გაზიარებული და აღიარებული ქართული საზოგადოების მიერ (მაგალითად, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წარმოქმნის პროცესებში ლობიზმის ფენომენი) (ჰადსონი, 2003წ.).

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებს წარმოადგენდა:

1. კვლევა იმ პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანებთან, მიზნებსა და პრიორიტეტებთან, მიმართული დემოკრატიული ღირებულების, მსოფლიოს სახელმწიფოებისა და რეგიონების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერისაკენ;
2. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ანალიზი ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების ჭრილში და მიზნების მიღწევის განხილვა სხვადასხვა საშუალებების: ენერგოუსაფრთხოება, „რბილი ძალა“ და სხვა (აშშ-ს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების სტრატეგიის შესაბამისად), - გამოყენებით;
3. ზედმიწევნით შესწავლა და განსაზღვრა იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს და ანვითარებს რეგიონალურ დონეზე სტაბილურობასა და მშვიდობას სახელმწიფოების რეგიონალური ურთიერთთანამშრომლობა;
4. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნების მნიშვნელობის შესწავლა 21-ე საუკუნეში რეგიონალურ და ადგილობრივ გეოპოლიტიკასთან მიმართებაში, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ჩათვლით;
5. აშშ-ს სახელმწიფოებრივი ინტერესების თეორიულიდან პრაქტიკულ დებულებებამდე გარდაქმნის გაშუქება და ანალიზი და მათი წარმოჩენა რეალურ პოლიტიკურ მექანიზმში.

კვლევის თეორიული მხარე ეფუძნება მრავალ წყაროს: წიგნებს, სამეცნიერო სტატიებს, მასმედიას, მონოგრაფიებს. ძირითადი წყაროები მიღებულია: შესაბამისი წიგნებიდან,

სამეცნიერო სტატიებიდან, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოცემული პუბლიკაციებიდან, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგებიდან, საქართველოსა და აშშ-ს ხელისუფლების ორგანოების ოფიციალური საბუთებიდან და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებიდან, არქივებიდან (საერთაშორისო ინსტიტუტების გადაწყვეტილებები, მოძიებული ინტერნეტ ვებ-გვერდებიდან), მიმოწერიდან.

კვლევის ამოცანები :

ამრიგად, კვლევა ეხება შემდეგ საკითხებს:

როგორ და რა გზით აღიქმებოდა და დანამდვილებით არის აღქმული, კასპის ზღვის აუზში, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილში, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ეგიდით მიღწეულ შედეგები პოსტბიპოლარულ პერიოდში და როგორ აისახა ეს ყოველივე კონცეპტუალურ და ოფიციალურ საბუთებში?

როგორ იქნა დანახული და ასახული ახალი სახის გამოწვევები, ე.წ. „ასიმეტრიული გამოწვევები“ , რეგიონალურ უსაფრთხოებაზე და რა გზით გამოიწვია სერიოზული პოლიტიკური არეულობა ადილობრივ სახელმწიფოებში საქართველოში მიგრაციის მაგალითზე?

იქონია თუ არა ზემოქმედება ინსტიტუციონალურ გარდაქმნებზე ადილობრივ დონეზე არსებულმა გამოწვევებმა და შესაძლებლობებმა (სახელდობრ, ინსტიტუციონალურ გარდაქმნებზე საქართველოში)?

რეგიონალურ დონეზე აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა აღქმულ იქნას ეს საგარეო პოლიტიკის კურსი როგორც აშშ-ს მიერ გლობალურ დონეზე საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებად?

ჰიპოთეზა

ცივი ომის დასრულებამ ძირფესვიანად შეცვალა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი და ძირითადი პრიორიტეტები. გლობალურის ნაცვლად ახლა, რეგიონალურ დონეს მიენიჭა უპირატესობა, განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, სადაც მანამდე აშშ-

ს არ შეეძლო საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარება და საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევა. ამგვარად, აშშ იყენებს სააგრეო პოლიტიკის ახალი ტიპის ხერხებს „რბილი ძალის“ ეგიდით, დემოკრატიული ფასეულობების გავრცელებისა და ინსტიტუციონალური გარდაქმნის ჩათვლით, სტრატეგიული თანამშრომლობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, და უმკლავდება ახალ გამოწვევებს (მაგალითად, ასიმეტრიულ გამოწვევებს), რომლებსაც სახელმწიფო უპირისპირდება. ამრიგად, კვლევა აყენებს ჰიპოთეზას: *სამი ძალის: რბილის, ხისტისა და ჭკვიანის*, - *ურთიერთშერწყმა მხარს უჭერს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მიზნების წარმატებით მიღწევას პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს მაგალითზე.*

კვლევის მეთოდები

ზემოთ მოხსენიებულმა სადისერტაციო ნაშრომის ამოცანამ უპირატესობა მიანიჭა ხარისხობრივ ანალიზს, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ლიტერატურის, ოფიციალური საბუთებისა და გამოკვლევების წინასწარ შესწავლას. უფრო მეტიც, იგი ყურადღებას ამახვილებს „სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობის პირის, პოლიტიკოსების, კრიტიკოსებისა და სხვების ინტერპრეტაციებზე, ფორმულირებებსა და გამოსვლებზე. ის ასევე შეიცავს ანალიზის მეთოდებს, განსაზღვრებებს, განმარტებებს, მოსაზრებებსა და განცხადებებს, ყოველი დეტალის გაგებას ერთიან მრავალმხრივ კონტექსტში. ხარისხობრივი ანალიზი ყოველი ნიუანსისა და დაწვრილებითი მონაცემის მნიშვნელობას გამოხატავს (მესონი, 2002წ.), რაც გამოკვეთილია სადისერტაციო ნაშრომში.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი კვლევით ხასიათს ატარებს, ვინაიდან იძლევა დასკვნებს ორი პრეზიდენტის - პრეზიდენტ ობამასა და პრეზიდენტ ჯორჯ (უმცროსი) ბუშის - პრეზიდენტობის პერიოდების შედარების მეშვეობით გამოკვეთილი თეორიული საფუძველების ჭრილში (აღნიშნული მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში), იგი მუდმივად ფოკუსირდება ამ ორი პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის განსხვავებულ და მსგავს კურსებზე, გზებსა და მიდგომებზე, სტრატეგიებსა და გეგმებზე. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს მათ შეხედულებებს, გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებული იყო სხვადასხვა სახელმწიფოს,

პირობებისა და გარემოებების ზემოქმედების შედეგად. პოლიტიკის წარმართვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს, მოცემული წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში, წარმოადგენს ავღანეთის მიმართ გატარებული პოლიტიკას. ამ პროცესში, წარმოდგენილია ვალერი ჰადსონის საგარეო პოლიტიკის ანალიზის თეორია და გავრცობილია საქართველოს მიმართ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის შედარებითი კვლევის კუთხით.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს წარმოადგენს *შინაარსის ანალიზი*. იგი შეიცავს „აშშ-ს სადაზვერვო და თავდაცვის ორგანოების მიერ შემუშავებული იმ ძირითადი საბუთების, ანგარიშებისა და მონაცემების გადახედვას, განსჯა-შეფასებას, რომლებიც ეხება საგარეო პოლიტიკასა და თავდაცვას. ეს არის ის საბუთები, რომლებიც გამოკვეთენ ინფორმაციას ახალი საერთაშორისო საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ, თეორიებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიღებულ იქნას სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ახალი მეთოდები, პერიოდული სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები, გამოცემული სახელმწიფო დეპარტამენტისა და თეთრი სახლის მიერ“ (ჰადსონი, 2006 წლის 27 ოქტომბერი). ის ასევე შეიცავს ინტერვიუებს პრეზიდენტებთან, გამოსვლების მნიშვნელოვან ნაწილებს, რომლებიც ეხება მათ მიერ გატარებულ თავდაცვით ქმედებებსა და საგარეო პოლიტიკას (განსაკუთრებით აშშ-ს პრეზიდენტების გამოსვლებს), სადაც საკვანძო ადგილები ხაზგასმული და გამოკვეთილია.

წინამდებარე კვლევაში გამოყენებული წიგნების უდიდესი ნაწილი ძირითადად ასახავს ცივი ომის შემდგომ პერიოდს და შესაბამისად შედგება ყოველი მნიშვნელოვანი დეტალისაგან, რომელიც აღნიშნულ პერიოდს ეხება. ამ წიგნებისა და საბუთების წყალობით, სადისერტაციო ნაშრომს მიეცა დამატებითი უპირატესობა, რაც გამოიხატება აშშ-ს უსაფრთხოების სფეროში ახალი მიდგომების, კურსისა და სტრატეგიების გააზრების საუკეთესო შესაძლებლობაში წინა დეკადებთან შედარებით.

დისერტაციაში ასევე გამოიყენებულია *ანალიზის* მეთოდი. მოცემულია რამოდენიმე მოსაზრება, რომელიც პრაქტიკაში არსებული მაგალითების ანალიზს წარმოაგენს:

პირველი მაგალითი ეხება „რბილ ძალას“ (კერძოდ, საერთაშორისო დახმარებას) როგორც საგარეო პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და საქართველოსთან მომავალი თანამშრომლობისკენ მიმართული მთავარი პოლიტიკური ხერხი. აღნიშნულ მაგალითში საქართველოს მნიშვნელოვანი სახელმწიფოს სტატუსი მქონე ქვეყნად არის მიჩნეული აშშ-ს მთავრობის მიერ. ნაშრომში მოცემული მაგალითი აღწერს კავკასიის-კასპიის-ცენტრალური აზიის რეგიონისადმი აშშ-ს გეოსტრატეგიული ინტერესების განხორციელების მთავარ მიზეზებს, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში როგორც ერთ-ერთ იმ რეგიონთაგანი, სადაც მრავალი ქვეყნის ინტერესია თავმოყრილი და სადაც იცავენ და მისდევენ აშშ-ს სახელმფივოებრივ ინტერესებს.

სადისერტაციო ნაშრომი განიხილავს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მეთოდს - საგარეო პოლიტიკის ანალიზის მეთოდს.

„საგარეო პოლიტიკის ანალიზი ეფუძნება იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მიიღება ხელისუფლებაში მყოფი პირების მიერ სახელმწიფოს რესურსების განკარგვასთან მიმართებაში, თუმცა სრულიად შესაძლებელია ანალიზი ეყრდნობოდეს გადაწყვეტილებებს რომელთა მიმღები იყოს ის პირი, ვისაც მსგავსი თანამდებობა არ უკავია. საგარეო პოლიტიკის ანალიზი მეტწილად მკაფიოდ ხსნის იმ პირთა ქცევას, დამოკიდებულებას, ფასეულობებსა და შთაგონებას, ვინც წარმართავს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ეგიდით. დანამდვილებით, საგარეო პოლიტიკის ანალიზი იყენებს ანალიტიკური დებულების ორ ელემენტს - საგარეო და შიდა პოლიტიკის ანალიზს. აღნიშნული მიდგომა ხშირად მოიხსენიება როგორც „ორდონიანი“ თამაში, ეს კი ნიშნავს იმას, ვინც პასუხისმგებელია დაგაწყვეტილებების მიღებაზე ორმაგ, ანუ ორ დონეზე თამაშის მშვეობით როგორც - რეგიონალურ ასევე საერთაშორისო დონეზე“ (ჰადსონი, 2006 წლის 27 ოქტომბერი).

სადისერტაციო ნაშრომი ასევე შეიცავს აღწერით სტატისტიკურ ანალიზს. იგი მოიცავს იმ სიტყვების მოძიებულ ჩამონათვალს, რომლებიც ხშირად გამოიყენებოდა ზემოთ აღნიშნული პრეზიდენტების გამოსვლებსა თუ წერილობით საბუთებში (მაგალითად: „ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“, „სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება“

და ა.შ.), იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს სხვაობა და მსგავსება ამ პრეზიდენტების სტილსა და რიტორიკაში.

დისერტაციაზე მუშაობისას მსურდა გამომეყენებინა ჩემი კითხვარი და ინტერვიუები ნაშრომში დასმულ კითხვებზე სტატისტიკისა და რეალობის წარმოსადგენად. ამგვარად, კვლევის მეთოდად გამოვიყენე ონლაინ და პირისპირი ინტერვიუები, სადაც ნაწილი კითხვებისა მოითხოვდა ვრცელ პასუხს, ხოლო ნაწილი მოითხოვდა მხოლოდ დადებით ან უარყოფით პასუხს.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კიდევ ერთი მეთოდი *კვლევის მეთოდი*. იგი ნაშრომის კულმინაციას წარმოადგენს, ვინაიდან ზემოთ განხილულ საკითხებზე ფართო ინფორმაციის შემცველია. კვლევის მიზნებისათვის პირველადი მონაცემები გამოიყენება იმიტომ, რომ ისინი დედნისეულია და პირდაპირ ეხება სადისერტაციო ნაშრომში განხილულ პრობლემებს. ნაშრომში მოცემული მონაცემები მოძიებულია ონლაინ ინტერვიუებიდან, (სკაიპ ინტერვიუებიდან) კითხვარებიდან (შეკითხვებით, რომლებიც მოითხოვდა ვრცელ პასუხს ან მხოლოდ დადებით ან უარყოფით პასუხს და ნაწილობრივ ვრცელ პასუხს), პირისპირი ინტერვიუებიდან.

დაბოლოს, დისერტაცია კონცენტრირებულია ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზზე - „როგორც საქართველოსა და აშშ-ს შორის ორმხრივი ურთიერთობების კვლევის წარმართვის ძირითად ხერხზე, რომელიც გამომდინარეობს ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის თეორიიდან, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის მიმდინარე მდგომარეობას დადგენას, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების განიხილვას და ასევე განსაზღვრავს კომპანიის მომავალ პოტენციალს. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები გადაწონიან მის სისუსტეებსა და საფრთხეებს, კომპანია კარგ მდგომარეობაშია და პირიქით, კომპანია სავალალო მდგომარეობაშია, თუ სუსტი მხარეები და საფრთხეები გადაძლევენ (სერგუნინი და კონიშევი, 2016წ.). იგივე სცენარია სახელმწიფოსთან ურთიერთობაში: თუ სუსტი მხარეები და საფრთხეები ჭარბობს შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებს, მაშინ ურთიერთობა ძალიან დაძაბული და მტრულია და პირიქით.

მეთოდოლოგია

ცივი ომის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მიმდინარე დებულებანი გარდაიქმნა გეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებად, მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემის წინამძღოლობით. გლობალური უსაფრთხოების დონის ზრდა, ახალი კონფლიქტების წარმოქმნა (როგორცაა ეთნიკური) უფრო რთულს ხდის საერთაშორისო თეორიებს. ამ გადასახედიდან, შავი ზღვის რეგიონის რაობა უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვან ასპარეზს წარმოადგენს უზარმაზარი გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიო პოლიტიკასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, კვლევისას, უსაფრთხოების განმარტებისადმი უპრიანია გამოყენებულიყოს *რეალისტური, ნეოლიბერალური და კონსტრუქტიული* მიდგომები. აგრეთვე, იმოსათვის რომ სწორად იქნას გაგებული გენდერული თემა ანუ სოციალური განმარტება მამკაცისა და ქალისა როგორც სხვადასხვა სქესი მეცნიერული და პრაქტიკული დასაბუთებების საფუძველზე, როგორც არათანაბარი ძალის, სტატუსისა და დამოკიდებულებების მქონე კონკრეტულ დროს, ნაშრომში გამოყენებულია ფემინისტურ-პოლიტიკური , თეორია რათა ნათლად გამოჩნდეს გენდერული მოდელი და ქარულ მიგრაციაში ქალთა როლი.

რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაა; თეორიის მიხედვით მსოფლიო პოლიტიკა ძალაუფლების მამიებელ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის ასპარეზია (ონდრეიჩაკი, 2014წ.).

“ადამიანის ბუნება კლასიკური პოლიტიკური რეალიზმის საწყისი წერტილია. რეალისტები ადამიანს განიხილავენ ეგოისტ და ანგარებიან არსებად. რეალისტების ზნეობრივი პრინციპები, განსაკუთრებით დღევანდელი ნეორეალისტებისა, მოიაზრებენ ხელისუფლების არარსებობას, ანუ ანარქიას. იგი მოიაზრება როგორც საერთაშორისო პილიტიკის შედეგების ძირითად განმსაზღვრელად. მისი სახასიათო ნიშნებია: საერთო კანონშემოქმედების ნაკლებობა, ღრმა წრმენა იმისა, რომ საერთაშორისო ასპარეზი თვითდახმარების სისტემაა. რეალისტები აცხადებენ, რომ თითოეულ სახელმწიფო პასუხისმგებელია საკუთარ გადარჩენაზე და თავისუფალია თავისი ინტერესების განსაზღვრასა და ძალაუფლების მოპოვებაში“ (ჰადსონი, 2006 წლის 27 ოქტომბერი). რეალისტების უსაფრთხოებას საკვანძო საკითხად განიხილავენ.

ისინი აცხადებენ, რომ უსაფრთხოება მიღწევადია, თუ გაიზრდება ძალაუფლება და ძალაუფლების გაწონასწორობაში მონაწილეობა პოტენციალური აგრესორების შესაბამისად. რეალისტები მიიჩნევენ, რომ ომები იწარმოება იმისათვის, რომ მეთოკე სახელმწიფოები არ გახდნენ უფრო ძლიერი სამხედრო თვალსაზრისით. ისინი სკეპტიკურად უყურებენ ზნეობის მართლზომიერებას საერთაშორისო პოლიტიკაში. ამან შეიძლება განაცხადებინოს მათ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ზნეობას ადგილი არ აქვს, ან ის, რომ ზნეობასა და პოლიტიკური ქმედების წარმატებას შორის დამაბულობაა, ან ის, რომ სახელმწიფოებს საკუთარი ზნეობა გააჩნიათ და ის განსხვავდება ჩვეულებრივი ზნეობისაგან (ონდრეიჩაკი, 2014წ.).

იდეალიზმი, ისევე როგორც რეალიზმი, საერთაშორისო ურთიერთობებში ტრადიციულ თეორიად მიიჩნევა. იდეალისტები მსოფლიოთი უკმაყოფილებას გამოხატავენ. ისინი მუდამ ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვას „რა უნდა იყოს“ პოლიტიკაში. პლატონი, არისტოტელე და ციცერონი, აი, პოლიტიკური იდეალისტების სახელები, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ზნეობრივი ფასეულობები, რომლებსაც პოლიტიკური ცხოვრება უნდა ეყრდნობოდეს (ჰადსონი, 2006 წლის 27 ოქტომბერი).

პოლიტიკური სცენარის ერთ-ერთი ძირითადი კონცეპციაა მაკიაველიზმი, რომელიც ზოგადად რადიკალურ რეალიზმად აღიქმება. ის შეეხება შიდა და საერთაშორისო საქმეებს. იგი წარმოადგენს დოქტრინას, რომელიც უარყოფს პოლიტიკაში ზნეობის საჭიროებას და აცხადებს, რომ ყველა საშუალება (ზნეობრივი და უზნეო) ამართლებს გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს (ჰადსონი, 2006 წლის 27 ოქტომბერი).

რეალიზმის თეორიის მიხედვით - სახელმწიფოებრივი ინტერესები მოიცავენ არა მხოლოდ ურთიერთქმედებასა და ურთიერთთანამშრომლობას მთავარი მიზნის მიღწევაში, არამედ ასევე გამოხატავს ყოყმანსა და ეჭვს საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურობასა და სარგებლიანობაში როგორც უსაფრთხო და მშვიდობიანი მსოფლიოს მიღწევის საშუალებისადმი. ეს მიდგომა ძლიერ გავრცელებული იყო ცივი ომის დროს და მისი დასრულების ბოლოს, სადაც სახელმწიფოები გამოხატავდნენ ძალაუფლების წონასწორობის სურვილს მუდმივი

შეიარაღების გზით. ამგვარად, რეალიზმის თეორია მთავარი თეორია იყო ცივი ომის დროს და იგი გამოხატავს ერთ-ერთ ტრადიციულ მიდგომას უსაფრთხოების კვლევისა. იგი სახელმწიფოების ძალაუფლებას ეფუძნებოდა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა მსოფლიო სისტემაზე. რეალისტების მოსაზრებები მძლავრობდა ცივი ომის შემდგომ პერიოდშიაც (ონდრეიჩაკი, 2014წ.).

„ლიბერალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში აზროვნების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. თეორიის საკვანძო მახასიათებელია ძალმომრეობითი პოლიტიკის უკუგდება როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი შესაძლო გამოსავალი. ლიბერალებს სჯერათ, რომ საერთაშორისო ინსტიტუციებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებაში წამყვანი როლი უჭირავთ. ისინი ახადებენ, რომ შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუციების, მათ შორის, მზარდი ურთიერთობების (ეკონომიკური და კულტურული გაცვლის ჩათვლით) მეშვეობით სახელმწიფოებს ეძლევათ კონფლიქტების შემცირების შესაძლებლობა. ლიბერალებს ძლიერ სწამთ, რომ საერთაშორისო დიპლომატია შეიძლება ძალიან ეფექტური გზა აღმოჩნდეს სახელმწიფოებისათვის გულწრფელი ურთიერთქმედებისკენ და პრობლემების არამალადობრივი გადაწყვეტის მხარდაჭერისაკენ. ამრიგად სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა კეთილდღეობის ზრდისა და კონფლიქტებისა და საფრთხეების შემცირებისა“ (დეკმეჯიანი და სინიანი, 2007წ.). ლიბერალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ერთ-ერთი მთავარი სკოლაა. ლიბერალიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „liber“, რაც „თავისუფალს“ ნიშნავს და მისი საწყისები გვამისამართებს თავისუფლების ფილოსოფიისაკენ (<https://mises.org/library/foundations-liberal-policy>). იქიდან გამომდინარე, რომ ლიბერალიზმის თეორიისათვის და, შესაბამისად, კვლევისათვის, საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური უსაფრთხოება, მათ შორის, რეგიონალურ დონეზე. კანტის მიხედვით, „ურთიერთთანამშრომლობა მოიაზრება როგორც ინტერესების ურთიერთშეთანწყობა და თანამთხვევა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. გარდა ამისა, ქვეყნებში თავიანთი პოლიტიკის გატარების გზით, თანამდებროვე მსოფლიო პოლიტიკურ დონეზე განსაკუთრებით გავრცელდა ლიბერალიზმის შემდეგი იდეები: არსებული ტრანსსახელმწიფოებრივი

ურთიერთთანამშრომლობა, რეგიონალური დონის ჩათვლით, თანდათან არღვევს ბიპოლარულობასა და ერთპოლარუბობას; ურთიერთთანამშრომლობა სექტორალურია, შედეგად ეკონომიკამ დაიწყო ისეთი პოლიტიკური მახასიათებლების შეთვისება, რომელიც უსაფრთხოების სფეროში მისწრაფის ურთიერთქმედების მეთოდებისაკენ, არამხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციებში (ევროკავშირის შემთხვევაში) ლიბერალური ურთიერთქმედების სახით, ასევე ის გააძლიერებს საერთაშორისო საზოგადოების მრავალეროვნულ ხედვას (არასამთავრობო ორგანიზაციები, დაინტერესებული ჯგუფები, მოძრაობები). შედეგად, ნეოლიბერალი თეორეტიკოსები მხარს უჭერენ ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებულ უსაფრთხოებას რეგიონალური უსაფრთხოებისა და ურთიერთთანამშრომლებისათვის“ (დეკმეჯიანი და სინიანი, 2007წ.).

„ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების“ კონცეფცია არ ეკუთვნის ცივი ომის შემდგომ პერიოდს. ეს იდეა შემოიღო მე-18 საუკუნეში იმანუელ კანტმა. დღეს, 21-ე საუკუნის გლობალიზებულ მსოფლიოში, „ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების“ ცნება ძალზე პოპულარული და მოწინავეა, ვინაიდან სტრატეგოსები და პოლიტიკოსები ცდილობენ უსაფრთხოებისადმი თანამედროვე მიდგომები მიუსადაგონ დღევანდელ უმართავ და დამაბულ ვითარებას და ბუნდოვან და არაპროგნოზირებად მომავალს. მივსდევთ რა თეორიულ გეზს, უნდა აღინიშნოს, რომ „ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოების“ კონცეფცია წარმოადგენს სტრატეგიულ სისტემას, სადაც უსაფრთხოების ოთხი ძირითადი რგოლია:

ინდივიდუალური უსაფრთხოების დაცვა;მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა,

მიმართული კოლექტიური უსაფრთხოებისაკენ;

კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება აგრესიის საწინააღმდეგოდ;

პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ქმედებების გზით სტაბილურობის დაცვა (ქოენი, 2009წ.).

რამდენადაც ცნობილია, უსაფრთხოების ტრადიციული კონცეფციები არ იძლევა ადეკვატურ გამოსავალს თანამედროვე სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებიდან და რეგიონალური პოლიტიკური უსაფრთხოების გამოწვევებისათვის. საერთაშორისო ურთიერთობებში აზროვნების ძირითადი მიმართულება - რეალიზმი და ლიბერალიზმი - ასახავს დროს, როდესაც ომი პოლიტიკის ლეგიტიმურ საშალებად მიიჩნეოდა. დღეს, ბევრი სახელმწიფო, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, ნაკლებად ზრუნავს აგრესიისაგან თავის შეკავებასა ან მის პრევენციაზე, ვიდრე, ზოგადად, მათი რეგიონის დაცვაზე. ამგვარი ქვეყნები ბევრს იგებენ ერთად მოქმედებით იმისათვის, რომ შემცირდეს კონფლიქტის შესაძლებლობები. მათ მიზანს ხშირად „ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებულ უსაფრთხოებას“ უწოდებენ (ჰოფმანი, მარი 2010წ.).

რაც შეეხება სოციალურ კონსტრუქტივიზმს, იგი ცდილობს პასუხი გასცეს იმ კითხვებზე, რომლებიც შეეხება ადამიანის არსებობას საზოგადოებაში (სოციალური კონსტრუქტივიზმი წარმოადგენს კოგნიტიური კონსტრუქტივიზმის ნაირსახეობას, რომელიც ხაზს უსვამს ბევრი სწავლის ურთიერთთანამშრომლობის ბუნებას. სოციალური კონსტრუქტივიზმი განავითარა პოსტრევოლუციურმა საბჭოთა ფილოსოფოსმა ლევ ვიგოცკიმ. ვიგოცკი იყო კოგნიტივისტი, მაგრამ უარყო ისეთი კოგნიტივისტების, როგორებიც იყვნენ პიაჟე და პერი, დაშვება, რომ შესაძლებელია სწავლის განცალკევება მისი სოციალური კონტექსტისაგან. ის ამტკიცებდა, რომ ყველა შემეცნებითი ფუნქცია დასაბამს იღებს სოციალურ ურთიერთქმედებაში და, ამრიგად, უნდა აიხსნას როგორც მისი ნაყოფი; სწავლა არა მხოლოდ მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის უბრალო შეთვისება-თვისებეა, არამედ ეს არის პროცესი, რომლის წყალობით მოსწავლეები უერთდებიან მცოდნეთა წრეებს“ (ჰოფმანი, მარი 2010წ.). უსაფრთხოების შესწავლის კოპენჰაგენური სკოლის მიდგომა წარმოადგენს კრიტიკულ მიდგომას, რომელიც ასევე კონსტრუქტივიზმის იდეებს ეყრდნობა. ეს მიდგომა უნიკალურია იმ გაგებით, რომ ყურადღებას აპყრობს უსაფრთხოების სფეროში შიდა პოლიტიკასთან ურთიერთქმედების საკითხებზე. კოპენჰაგენური სკოლა ხაზს უსვამს „სეკურიტიზაციის“ (უსაფრთხოების) იდეას. ეს ტერმინი ასახავს იმ პროცესს, როდესაც „რამოდენიმე სახელმწიფოს რომელიღაც შიდა პრობლემა აჰყავს

საერთაშორისო პოლიტიკის ან სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების რანგში“ (ონდრეიჩაკი, 2014წ.). კოპენჰაგენური სკოლა პირდაპირ დაკავშირებულია კონსტრუქტივიზმთან, ვინაიდან იგი წარმოსახავს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ახალ საფრთხეებს. მაგალითად, აშშ-ს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ უნდა განვიხილოთ ამ კუთხით. მეტიც, სოციალური კონსტრუქტივიზმი შექმნილი იყო იმ ხედვიდან გამომდინარე, რომ მსოფლიო და მისი საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენენ პოლიტიკური და სოციალური ურთიერთხემოქმედებისა და შემეცნების შედეგს. წარმართული ამ სფეროში მეცნიერული ანალიზი ხანდახან გამოიყენება პოლიტიკური ურთიერთობების ასახსნელად საერთაშორისო ურთიერთობების მაგალითზე (ჰოფმანი, მარი 2010წ.).

რაც შეეხება ფემინისტური პოლიტიკური თეორიას, იგი აკრიტიკებს კანონს დასავლურ პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, რომლის მიხედვითაც თუ ქალი ან ქალის მიერ შესრულებული ნებისმიერი საქმიანობა დაემატება მარქსისა და ჰობბის თეორიებს, გამოდის რომ სრულიად სხვა შედეგი დადგება .თეორია აწვითარებს საკუთარ მოსაზრებას, დემოკრატიულ თეორიასა და პოლიტიკურ თვალსაზრისს რომლის მიხედვითაც, საზოგადოების გენდერულად დაყოფა მთლიანად ცვლის დემოკრატიულ ღირებულებებს, თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების პრინციპებს.(მალიკი, 2015)

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერება ნაკლებად მორგებული იყო ფემინისტურ დანაყოფზე 1990 მდე, რომესაც ორივე აკადემიური და პრაქტიკული სწავლება შეერწყო ერთი მეორეს. ამჟამად, ფემინისტური საელტაშორისო ურთიერთობები მოიცავს ორივეს: რიტკულსა და ასევე კრეატიულ მიმართებას რომელიც ნიშნავს ახალი ტიპის გაგებას- ქალი მთავარ როლში, ქალი პოლიტიკის სათავეში, ეკონომიკაში და ა. შ. თუმცა აღსანიშნავია ერთი რამ, რომ ქალი შეიზლება განიხილებოდეს როგორც მთავარი ღერძი გარკვეული მოქმედებებისა, მაგრამ სქესი-განიხილება როგორც სრულიად სხვა ფენომენი. როდესაც საუბარია სქესზე, დაუყოვნებლივ წარმოისახება თემა სოციალური სხვაობის შესახებ . მაშასადამე, გენდერული კონფლიქტი ამოსავალი წერტილია ფემინისტური თეორიისა, რას ამტკიცებს იმას, რომ რას უფრო მეტად ორიეტირებულია საზოგადოება გენდერულ

თანასწორობაზე , მით მეტადაა უსაფრთხო გარემოს გარანტია დაცული და ნაკლებია შესაძლო კონფლიქტების არსებობის ალბათობა.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

კვლევა ეხება კონფლიქტური ვითარების ანალიზს პოსტბიპოლარულ პერიოდში, ხოლო თეორიული საფუძვლები შედგება გეოპოლიტიკური, ადამიანის უფლებების შესახებ, ტრანსნაციონალური და საერთაშორისო ინტეგრაციის თეორიებისაგან. თეორიული საფუძვლები განიხილება 21-ე საუკუნის ადამიანის უსაფრთხოების საკითხების ცნების ჭრილში.

პრაქტიკული თვალთახედვიდან, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის რეგიონებისადმი მიდგომები უდაოდ ფენომენალურია და მან გავრცელება პოვა ბიპოლარული წესრიგის შემდეგ, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცე განიხილებოდა ამერიკის გეოპოლიტიკურ ინტერესთა სფეროდ. ზუსტად რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ახალი მაჩვენებლები და დებულებები და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების კონცეფცია მიიჩნევა პრაქტიკაში გამოყენებად იმისათვის, რომ აშშ-ს სახელმწიფოებრივი ინტერესები განხორციელდეს საერთაშორისო პილიტიკის ასპარეზზე, კერძოდ, კასპიის ზრვის აუზის ენერგეტიკული უსაფრთხოების სიცოცხლისუნარიანობის თალსაზრისით აშშ-ს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების სათავეში დაყენებით. მნიშვნელოვანია აშშ-ს საგარეო პოლიტიკის აღნიშნული ასპექტის ქართული აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოებისათვის გახდეს აქტუალური, განსაკუთრებით, ფართოდ გავრცელდეს ამერიკანისტიკის სტუდენტებსა და პროფესორებს შორის მთელს საქართველოში.

რეგიონებში აშშ-ს თანამედროვე საგარეო პოლიტიკის წარმართვისა და სისტემატიური მიდგომების (კვლავ სავკასია-კასპიისა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში) თავისებურება განიხილება ქართული პოლიტიკური წრეებისა და სპეციალისტთა საზოგადოების გადმოსახედიდან როგორც ყველაზე გადამწყვეტი შედეგების მქონე საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრა-ჩამოყალიბებისათვის.

საქართველო მოწმეა მრავალდისციპლინური აკადემიური სწავლების გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავს ევრო-ანტლანტიკური ინტეგრაციისადმი შთაგონებას და საქართველო-აშშ-ს სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერებას. მეტიც, ვინაიდან ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სადისერტაციო ნაშრომში, მოძიებული და მასში წარმოდგენილი მონაცემების წყალობით, სადისერტაციო ნაშრომი დიდი ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს ქართველი პოლიტიკოსებისათვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის და ექსპერტებისათვის, იმისათვის რომ მყისიერი პასუხი გაეცეს საჭირობოროტო საკითხებზე და მოხდეს პოლიტიკური გამოწვევების წინასწარგანჭვრეტა და მომავალში მოიძებნოს ოპტიმალური გამოსავალი.

სიახლე

სადისერტაციო ნაშრომი ღრმად აანალიზებს და წარმოადგენს გარდამავალი გეოპოლიტიკურ პერიოდის, 1990-2016 წლების, აშშ-ს ბოლოდროინდელ საგარეო პოლიტიკის ამოცანებსა და მიზნებს, პოლიტიკის წარმართვა-განხორციელებას, რაც განსხვავდება „ცივი ომის“ პერიოდისეულისაგან, ისევე განიხილავს იმ დროინდელ პოლიტიკას, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ყოვლისმომცველი გახდა, ზესახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა კი ახალ მექანიზმად გარდაიქმნებოდა. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდგომში:

- ასიმეტრიული გამოწვევების სამხედრო განზომილების გამოკვეთა და გაშუქება (ამერიკის სტრატეგიული ხასიათის საბუთების მიხედვით, რომელიც პოლიტიკურ პროფესიონალურ ენაზე მოიაზრება ტრანსნაციონალურ გამოწვევებად) როგორც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური საფრთხისა, მსოფლიო წესრგის გარდაქმნისა და აშშ-ს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შედეგების ეგიდით (ფოუსტი, 2012წ.). მეტიც, ასიმეტრიულ გამოწვევებს ახალი საფრთხის ფენომენს - ასიმეტრიულ ომსაც კი უკავშირებენ. ამგვარი ასიმეტრიული ომი გამოვლინდა 11 სექტემბერს, აშშ-ში, როდესაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო ტერორიზმის შედარებით ახალმა ფენომენმა. ასიმეტრიული ომი წარმოადგენს ომს

მეომარ მხარეებს შორის, რომელთა სამხედრო ძალა, ტაქტიკა, აღჭურვილობა, გეგმები სრულიად განსხვავებულია (ონდელიჩაკი, 2014წ.). ასიმეტრიული ომის ფაქტორი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ გეოსტრატეგიულ საფრთხეს წარმოადგენს განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროში, სახელდობრ, კონფლიქტები სირია-ერაყსა და დონბასში, უკრაინაში, ასევე კონფლიქტები კავკასიის მთელ სივრცეში (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში);

დისერტაცია ასახავს მიგრაციის ახალ ფაქტორს, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე. ამ თვალთახედვიდან, მიგრაცია მოიაზრება გლობალური უსაფრთხოების უმთავრეს გამოწვევად, მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია შეიძლება დადებითად შეფასდეს. თუმცა, მიგრაციის ახალი ფორმა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პოტენციურად ახალი ტერმინი - „ეკონომიკური მიგრაცია“ - წარმოადგენს და უკავშირდება ახალ გამოწვევას, ძირითადად ასიმეტრიულ მიგრაციას მიანიშნებს და ასევე (მიგრაცია, 2016 წლის 9-10 მარტი) უარყოფით ასპექტებსა და მის საფრთხეებზე. იგი ხაზს უსვამს პრობლემებს: სტრესს, შიშსა და ღელვას, რომელიც არსებობს მიგრანტებსა და მასპინძელ ქვეყნების მცხოვრებთა შორის.

- აკადემიური წრეების თვალთახედვიდან იმ ახალი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება-გადახედვა, რომლებსაც მიზნად აქვს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნების გლობალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე მიღწევა გარდამავალ გეოპოლიტიკურ პერიოდში, „რბილი ძალის“ ახალი კონცეფცია უკვე პოპულარული გახდა არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პოლიტიკურ დონეზეც. კვლევა ასახავს როგორ ზეგავლენას ახდენს ახალი რელობა (გამოწვევები და შესაძლებლობები) სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მომავალ ინსტიტუციონალიზაციაზე აშშ-სა და საქართველოს სახელმწიფო დონეზე და რაოდენ შესაძლებელია „რბილი“ ძალის მეშვეობით ინსტიტუციონალური რეფორმებისა და გარდაქმნების წარმართვა „კარგი მმართველობის“ ჩამოსაყალიბებლად საქართველოს შემთხვევაში (ქოენი, 2009წ.);

სადისერტაციო ნაშრომში ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი (SWOT Analysis) წარმოადგენს საქართველოსა და აშშ-ს შორის ორმხრივი ურთიერთობების კვლევის ძირითად ხერხს, რომლის მეშვეობით აღწერილია უტყუარი და ღირებული ანალიტიკური მასალა, რომელიც შეეხება არა მხოლოდ იმ სარგებელს, რომელსაც საქართველო მიიღებს მისი „უფროსი სტრატეგიული პარტნიორისაგან“, ასევე ის წარმოგვიდგენს რეალურ ფაქტებს ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოწვევების შესახებ, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა უპირისპირდება და რომლებსაც უნდა გაუმკლავდეს.

დისერტაციის შეზღუდვები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო შეეჯამებინა და წარმოედგინა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამოცანები, მიზნები და პრიორიტეტები, მოეცვა ისეთი ელემენტები, როგორცაა ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებების გავრცელება, საქართველოში პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი, წარმოედგინა, თუ როგორ უსადაგებს აშშ-ს ხელისუფლება „რბილი ძალის“ ხერხებს დემოკრატიულ ინსტიტუციონალურ მშენებლობას.

სადისერტაციო ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ იმ ურთიერთობების განხილვით, რომელიც წარმოიქმნა ცივი ომის შემდგომი პერიოდებიდან 2016 წლამდე.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:

სადისერტაციო თეზისები შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, სამი თავი, დასკვნა და მითითებები ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზზე და დანართები, რომლებიც შეიცავს სამ რეცენზიას კვლევაზე, კითხვარებს, რომლებიც გამოყენებული იყო კვლევის დროს.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

თავი I: აშშ-ს საგარეო პოლიტიკის მიზნები და გეოპოლიტიკური კოდის კოდის იდენტიფიკაცია ცივის ომის შემდგომ პერიოდში

თანამედროვე დროს, გლობალიზაციის პროცესი, გლობალური გეოპოლიტიკური და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები ფრიად მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ეგრეთ წოდებულ ზესახელმწიფოების მნიშვნელოვან როლს (სახელდობრ აშშ-ს, რუსეთის, ევროკავშირის და ჩინეთის) საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების განვითარებაში, რომელიც დადებითად აისახება მსოფლიოს სხვადასხვა სახის გლობალური პრობლემების მოგვარებაზე.

სადისერტაციო ნაშრომი განიხილავს, იკვლევს და აანალიზებს აშშ-ს პოლიტიკურ სისტემას და მის შედეგებს საგარეო პოლიტიკის წარმართვის კუთხით. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო პოლიტიკის უწყების შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნებს წარმოადგენს უფრო დემოკრატიული, უსაფრთხო და აყვავებული მსოფლიოს შენება-უზრუნველყოფა ამერიკის ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოების საკეთილდღეოდ. გარდა აღნიშნულისა, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტი განსაზღვრავს რამოდენიმე იურიდიულ მიზანს, რომლებიც გამოიხატება ექსპორტირებად კონტროლში, რომელიც შეიცავს ბირთვული იარაღის ტექნოლოგიისა და ბირთვული იარაღის წარმოების აღჭურვილობის გაუვრცელებლობას. მეტიც, აღსანიშნავია, რომ უცხო სახელმწიფოებთან კომერციული ურთიერთობების გაღვივება და საზღვრგარეთ ამერიკული ბიზნესის დაცვის მიღებული ზომები მნიშვნელოვანი მიზნებია, ისევე როგორც საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები, საერთაშორისო განათლება და ამერიკის მოქალაქეთა საზღვრგარეთ დაცვა და ექსპატრიაცია. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით საერთაშორისო ურთიერთობები თანდათან უფრო რთულდება, ვინაიდან საკითხთა ფართო წრეს მოიცავს.

პირველი თავი ხაზს უსვამს ერთ-ერთ პოლიტიკურ ხერხს“ ხისტი“ და „რბილი“ ძალის ურთიერთდაპირისპირებას. წინა საუკუნეში ხისტი ძალა საგარეო პოლიტიკის წარმართვის ტრადიციული ფორმა იყო, ხოლო 21-ე საუკუნეში რბილი ძალა გამოდის როგორც სხვადასხვა პლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელების ახალ მეთოდად. ბევრმა სპეციალისტმა გამოიკვლია რბილი ძალა და დაასკვნა, რომ იგი 11 სექტემბრის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური კურსის შედეგია; თუმცა, სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად იყენებს ჯოზეფ ნაის უმცროსის ამ ტერმინის

განსაზღვრება-ახსნას და მის მნიშვნელობას როგორც მთავარი პოლიტიკური საუმალებისა საგარეო პოლიტიკის წარმართვის პროცესში.

რბილი ძალის განსაზღვრება მჭიდრო კავშირშია ჯოზეფ ნაის უმცროსის სახელთან, რომელმაც პირველმა შემოიღო ეს ტერმინი. დოქტორ ჯოზეფ ნაი უმცროსი, საგარეო პოლიტიკის გამოჩენილი მეცნიერი და პრაქტიკოსი, პირველად გამოიყენა სიტყვათშეწყობა „რბილი ძალა“ 1990 წელს. ნაიმ რბილი ძალა აღწერა როგორც შესაძლებლობა მიიღო ის, რაც გასურს მომხიბლაობით, დაფასებითა და ფართო აუდიტორიისადმი მიმართვით, ვიდრე ძალადობის, უპირველესობისაკენ სწრაფვით და იძულების გამოყენებით. იგი მოკავშირეებთან მძლავრ კავშირს, ეკონომიკურ მხადრაჭერის პროგრამებსა და მნიშვნელოვან კულტურულ გაცვლას განიხილავს რბილი ძალის მაგალითებად. იმის მიუხედავად, რომ ნაის კონცეფცია დიდი პოპულარულობით სარგებლობს, სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ თანამედროვე სკოლა უწინდებურად გაყოფილია ხელისუფლების არსთან მიმართებაში. ზოგიერთი კვლევარი შესაძლებლობებს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტორად მაშინ, როდესაც სხვები სრულიად არ ეთანხმებიან და საპირისპიროს ამტკიცებენ. მათ სჯერათ, რომ ეს იყო პოლიტიკური კურსის შედეგი. ნაიმ თავისი კონცეფცია ააგო პოლიტიკური კურსის შედეგზე, ანუ, როგორც ის მას უწოდებს, მრავალსახოვანი ხელისუფლების „შედარებითი ძალის კონცეფცია“-ზე. ძალაუფლების შესახებ ლიტერატურის გავრცელებასთან ერთად, გავრცელდა ნაის რბილი ძალის თავდაპირველი განსაზღვრება. ნაის რბილი ძალის ადრეული განსაზღვრებები იყო: „შესაძლებლობა მიიღო ის, რაც გასურს მომხიბლაობით, ვიდრე იძულებითა და ფულით“, - ნიშნავდა იმას, რომ პატივისცემის მოსაპოვებლად, სხვა ქვეყნების კულტურის, ღირებულებებისა და საგარეო პოლიტიკის პატივისცემა და აღიარება უნდა იყოს დაფასებული და გაგებული. მოგვიანებით, ნაის განსაზღვრება უფრო გავრცობილი გახდა. რბილი ძალა გაგებული იყო გამოწვევად, სხვებზე ზემოქმედების ახალ საშუალებად თანაქმედების, თანამშრომლობის, ურთიერზემოქმედების გზით და გამოკვეთა სასურველი შედეგებისა და მიზნების მიღწევის გეზი.

სადისერტაციო ნაშრომი ასევე მოცემული სხვა მეცნიერთა თვალსაზირისები, რომლებიც გადმოსცემენ სააგრეო პოლიტიკისადმი ბევრ მიდგომასა და ვარაუდს. საკამათოა, რაოდენ გადაწყვეტილების მიღების მიდგომა უფრო მნიშვნელოვანია სხვებთან შედარებით. მათი აზრით არსებობს სამი ძირითადი კონცეფცია: გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების მიმღები პირები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. სააგრეო პოლიტიკა წარმოადგენს გადაწყვეტილებათა რიგს, მიღებულს ადამინთა ჯგუფის მიერ, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ გადაწყვეტილების მიმღები პირები. გადაწყვეტილებები სააგრეო პოლიტიკის შესახებ მიიღება არა უბრალოდ გარე ფაქტორის პასუხად, მეტი, იგი გადის განსაზღვრულ სახელმწიფო აპარატს.

მომდევნო ქვეთავი განიხილავს აშშ-ს სააგრეო პოლიტიკის ზეგავლენის შედეგებს რეგიონალურ გეოპოლიტიკაზე. სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ტერმინზე, როგორცაა გეოპოლიტიკა, რომელიც განსაზღვრულია როგორც სწავლება საერთაშორისო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე გეოგრაფიის ზეგავლენის შესახებ. გეოპოლიტიკა წარმოდგენილია სააგრეო პოლიტიკის შესწავლისა და განსაზღვრის მეთოდად, რომლითაც გასაგები ხდება, აიხსნება და პროგნოზირდება საერთაშორისო პოლიტიკური ქმედებები გეოპოლიტიკური ცვალებადობების ჭრილში. გეოპოლიტიკა ნათლად აჩვენებს პოლიტიკურ ძალაუფლებას გეოგრაფილ სივრცესთან მიმართებაში. აღნიშნულისამებრ, გეოპოლიტიკურ პრობლემატიკას განეკუთვნება საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესებს შორის ურთიერთდამოკუდებულება, ასევე ურთიერთდამოკუდებულება იმ ინტერესებს შორის, რომლებიც ფოკუსირდება არეალზე, სივრცეზე, გეოპოლიტიკურ ელემენტებსა და გზებზე, აგრეთვე ურთიერთობებზე, რომლებიც ქმნიან გეოპოლიტიკურ სისტემას. თუმცა, არსებობს გეოპოლიტიკის სხვადასხვა აკადემიური განსაზღვრება, რომელიც პროფესიონალურ ენაზე ადგენს მის ნამდვილ შინაარსს. თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, გეოპოლიტიკა განსაზღვრავდა ამერიკის სააგრეო პოლიტიკას. პრეზიდენტები თანმიმდევრულად ცდილობდნენ თითოეული ქვეყანა დაეცვათ ევროპასა და აზიაში სტრატეგიული ძალებისა და საშუალებების ცენტრების დომინირებისაგან. ამ მიზნის მისაღწევად, შეერთებული შტატები ორ მსოფლიო ომში

იბრძოდნენ და წარმართავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცივ ომს, რომელიც ოთხი დეკადა გრძელდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ დაასრულა უკანასკნელი გამოწვევა ევრაზიაში ტერიტორიული დომინირებისათვის. ამერიკის საგარეო პოლიტიკის პირველრიგოვანი მიზანი მიღწეული იყო.

სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი ძირითადად ყურადღებას აქცევს ცივი ომის შემდგომ პერიოდს, განსაზღვრავს და ახასიათებს მას და გადმოსცემს მის ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს. ეს თავი აღწერს ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდს და გამოკვეთს მისი პოლიტიკის ძირითად ღერძებს.

შემდეგი ქვეთავი წარმოადგენს მასალას, რომელიც ეხება 11 სექტემბრის შემდგომ აშშ-ს საგარეოპოლიტიკურ ვითარებას, - ბუშის ადმინისტრაციის დოქტრინას: ტერორიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ომის შესახებ (2001 – 2009წ.წ.) და მისი ზეგავლენის შედეგებს ინსტიტუციონალურ გარდაქმნაზე. ნაშრომის ეს ნაწილი ძირითადად შეიცავს ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდის ამსახველ ინფორმაციას, გამოკვეთს მისი საგარეო პოლიტიკის მიზნებს და განსაზღვრავს სამხედრო სტრატეგიული დაგეგმვის მისეულ პრინციპებს. ცხადია, რომ მისი ხედვა საგარეო და სამხედრო სტრატეგიული ამოცანების მიზნებისა განპირობებული იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკზე ტერორისტული თავდასხმით, რამაც ვაშინგტონს შეაცვლევინა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი გეზი.

თავი II: აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ახალ განზომილებაში გადასვლა კასპის ზღვის აუზის მიამრთ გამოხატული ინტერესით და მისი პოლიტიკური ინსტრუმენტები

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი მოიცავს სამ ქვეთავს. პირველი ქვეთავი განიხილავს ბუშისა და ობამას დოქტრინების გავრცელებას 2001-2016 წლებში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე. მასში მოცემულია ბუშისა და ობამას დოქტრინების შედარებითი ანალიზი.

ნაშრომის შემდეგი ნაწილი წარმოადგენს ინფორმაციას კასპის ზღვის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და რეგიონალურ გეოპოლიტიკაში საქართველოს

როლი შესახებ. საქართველო მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს რეგიონალურ გეოპოლიტიკაში და რეგიონში სახელმწიფოებების თვითგამორკვევაში. თუმცა, საქართველოს ეკონომიკის შედეგები მეორეხარისხოვანია ფართო შედეგებზე საუბრისას. საქართველოზე გამავალი კასპიის მილსადენის მშენებლობამ ქვეყანას სხვა განზომილებაში გადასტყორცნა. კავკასიურ-კასპიური ენერგორესურსების მიწოდება საერთაშორისო ბაზარზე, როგორც ეს იყო ბიპოლარული გეოპოლიტიკური წესრიგის დროს, როდესაც რეგიონი საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს ნაწილად განიხილებოდა. ამჟამად, რეგიონს უდიდესი ყურადღება ეთმობა ფართო შესაძლებლობის მქონე გეოეკონომიკური ტექნოლოგიებისადმი, როგორცაა ნავთობისა და გაზის მილსადენებით ტრანსფერი, ენერგეტიკული სტრატეგიების, სატვირთო გადაზიდვების საკონტროლო პუნქტებსა და გზებისადმი ახალი მიდგომის წყალობით.

კასპიის ზღვის რეგიონს, 20-21-ე საუკუნეებში შეეძლო გამხდარიყო დიდმპყრობელობის მთავარი წყაროს კამათის საგანი. ამ თვალსაზრისით შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონი (BSCSR) განიხილება ენერგო კორიდორის ფართო პერსპექტივით.

სადისერტაციო ნაშრომი ასევე განიხილავს ქარტიას საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს ფინანსურ, ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ დახმარებას. 2009 წლის 9 იანვარს, ქალაქ ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, ქარტიას- საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ, ხელი მოეწერა, რაც ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატები საქართველოს სუვერენიტეტის მნიშვნელოვან გარანტორად რჩებიან. ეს ქარტია შეეხება საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი სტრატეგიული ურთიერთობების ძირითად საფუძვლებს. ის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, დემოკრატიისა და სტაბილურობის გაძლიერებას.

თავი III: ახალი ასიმეტრიულ/ტრანსნაციონალურ გამოწვევები, ხელსაყრელი შესაძლებლობები და მათი ზემოქმედება რეგიონალურ შედეგებზე აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წარმართველ პოლიტიკოსთა თვალთახედვით საქართველოსთან მიმართებაში

ბოლო თავი წარმოგიდგენთ ახალ ასიმეტრიულ/ტრანსნაციონალურ გამოწვევა-შესაძლებლობებს და მათი ზემოქმედების რეგიონალურ შედეგებს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წარმართველ პოლიტიკოსთა თვალთახედვით საქართველოსთან მიმართებაში. თავში განხილულია, თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ახალმა ასიმეტრიულ/ტრანსნაციონალურმა გამოწვევებმა, როგორ შეიძლება იყოს ისინი აღქმული აშშ-ს საგარეო პოლიტიკის წარმართველ პოლიტიკოსების თვალსაზრისით - ტერორიზმის, ადამიანებით ვაჭრობის, განსაკუთრებით ბავშვებითა და ქალებით, ლტოლვილთა არაკონტროლირებადი მიგრაციის და ა.შ. კუთხით. თავში ასევე განიხილება მიგრაციის პრობლემის მიზეზები რეგიონალური უსაფრთხოების დონეზე, საზღვარგარეთ, აშშ-ს ჩათვლით, საქართველოდან მიგრაციის მიზეზები, ასევე მოცემულია თუ როგორ შეიცვალა სამუშაო მიგრაციის გენდერული მოდელები. გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლევის საგანი ფოკუსირდება აშშ-ს საგარეო პოლიტიკის როლზე საქართველოდან მიგრაციაში, კერძოდ გენდერულ ასპექტზე, ხაზი ესმევა აშშ-ში ქართველი ქალ მიგრანტების ცხოვრებისა და მუშაობის მიზეზებსა და ხასიათზე. ეს ტენდენცია განხილულია ასიმეტრიული გამოწვევების ჭრილში როგორც უარყოფითი მხარე, ხოლო სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობის თვალსაზრისით როგორც დადებითი მხარე. საერთაშორისო სამუშაო მიგრანტები საქართველოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურებაა. თუმცა, მიგრაციას დრამატულ შედეგებს იწვევს საქართველოს ზოგიერთი რეგიონის დემოგრაფიულ შემადგენლობაზე, ხოლო ოფიციალური გზით გადარიცხული ფულადი სახსრები ბევრი ქართული ოჯახისათვის კვლავინდებურად სარფიანია.

ბოლო თავი ძირითად ყურადღებას აქცევს საქართველო-აშშ-ს თანამშრომლობას, მიმართულს რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაზე დაფუძნებული უსაფრთხოებისა და სათანადო მართვის მხარდაჭერისაკენ:

სტაბილურობა ჩიხისაგან განსხვავებით. საქართველო-აშშ-ს სტრატეგიულ ურთიერთობაში ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ ამოცანად გამოყვანილია ინსტიტუციონალური რეფორმა და გადაჯგუფ-გადმოჯგუფება იმ პოლიტიკური სისტემისა, რომელიც ყალიბდება 1995 წლიდან, როდესაც პირველად მიღებული იყო საქართველოს კონსტიტუცია. ურთიერთობებში რეფორმების მხარდაჭერის ტენდენცია უთუოდ პასუხობს აშშ-ს სახელმწიფოებრივი ინტერესების მნიშვნელოვან მიზნებს, მიმართულს დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობების გავრცელებისაკენ, ძირითადად, ეგრეთ წოდებული „საკვანძო სახელმწიფოებში“ (ეს ნიშნავს ამერიკის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის და განვითარების ძირითადი იმპულსების ხელახლა შექმნისათვის ყველაზე პრინციპული და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოს). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი საბუთი „სტრატეგიული ჩარჩო ქარტია“ ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოს ერთ-ერთ სტატუს-კვოს მქონე სახელმწიფოდ აღიარებისა. თუმცა, სტრატეგიული თანამშრომლობა, ისევე როგორც „საკვანძო სახელმწიფო“-ს სტატუსის გამოყენება აუმჯობესებს ინსტიტუციონალური ხელისუფლების საფუძველს და კვლავინდებურად ეთანადება „უფროსი სტრატეგიული პარტნიორის“ საუკეთესო ალტერნატიულ მექანიზმს, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს და მოიწონოს ე. წ. „სათანადო მართვის“ პოლიტიკა, რომელიც, თავის მხრივ, მახასიათებელს ეფუძნება: *მონაწილეობა, სამართლის ნორმა, სამართლიანობისაკენ მიმართული თანხმობა, ყოვლისმომცველობა, შედეგიანობა და ქმედითობა, ანაგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, რეაგირების სისწრაფე.*

დასკვნა

დასკვნით თავში, რომელიც აჯამებს სადისერტაციო ნაშრომს, მოცემულია აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი, რომელიც იძლევა ქვეყნის მიმდინარე მდგომარეობაზე მზა ინფორმაციას. ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები განიხილება გარემოში არსებული შესაძლებლობებსა და საფრთხეებთან მიმართებაში. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი ანალიტიკოსისათვის შესაძლებელს

ხდის განსაზღვროს არსებული მგდობარეობა და ქვეყნის მომავალი პოტენციალი. იმ შემთხვევაში, თუ ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები ჭარმობენ სუსტ მხარეებსა და საფრთხეებს, ქვეყანა კარგ მდგომარეობაშია. ხოლო, პირიქით, ქვეყანა ცუდ მდგომარეობაშია, როდესაც სუსტი მხარეები და საფრთხეები ძლევენ. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი შეიძლება გამოყენებული იყოს სამომავლო სტრატეგიების დასახვისათვის იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიძლება სუსტი მხარის ძლიერად ქცევა, ხოლო საფრთხისა შესაძლებლობად გადაქცევა.

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს პოლიტიკის წარმართვა-განხორციელების ღრმა ანალიზიდან, რომელიც გამომდინარეობს ცივი ომის პერიოდიდან. ნაშრომი განიხილავს იმ დროს, როდესაც პოლიტიკური სისტემა იმდენად გაფართოვდა, რომ სრულიად მოიცვა ზესახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და გარდაიქმნა ახალ მექანიზმად. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს არა მხოლოდ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნების საკითხებს ცივი ომის შემდგომ პერიოდში, არამედ ასევე ხაზს უსვამს პოლიტიკის წარმართვის რეგიონალურ ასპექტებს. კვლევის საგანი ყურადღებას უთმობს, ცივი ომის შემდგომ პერიოდში, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ამოცანების ასპექტებსა და თავისებურებებს და ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგეტიკული გეოპოლიტიკის ახალ რისკებისა და პრიორიტეტების როლს, ასევე ადეკვატურ რეაქციებს ასიმეტრიულ გამოწვევებზე, მათ შორის, სამხედრო გამოწვევებზე, იმისათვის, რომ მოხდეს მათი ურთერთშეწყობა რეგიონალურ დონეზე, მეტწილად, შავი ზღვის გეოპოლიტიკურ არეალში. ეს ნაწილი ასევე მოიცავს პასუხს კვლევის საკითხებზე, რომლებიც დასმულია სადისერტაციო ნაშრომში და მოიცავს ჰიპოთეზებზე მსჯელობას. ის ასევე აღწერს კვლევების შედეგებს, რომლებიც მოვიძიე ქართველ ემიგრანტ ქალებთან, მათი ოჯახის წევრებთან, რიგით მოქალაქეებსა და საქართველოს პარლამენტის წევრებთან პირისპირი და ონლაინ ინტერვიუების მეშვეობით.

დისერტაციის მთავარი იდეები შემდეგ პუბლიკაციებში იქნა ასახული:

1. Beraia E. (2017). “Foreign Policy-Making Process in XX- XXI Centuries: Theoretical and Practical Background on the Example of the USA” , *Journal in Humanities*, Volume 6, issue 1, p.23-27
2. Beraia E. (2017). “Transnational Challenges- Migration from Georgia to us Gender Aspects of Migration”, *American Studies Periodical* , 9th Edition pp.84-92
3. Beraia E. (2017). “The Influence of Asymmetrical Warfare on Contemporary International Security”, *American Studies Periodical* , 10th edition pp. 47-52
4. Beraia E. (2018). “Asymmetric challenges and their impact on International Relations”, *the International Expert Conference*, Ostrowiec Swetokrzyski, Poland
5. Masais V. Beraia E. (2018). “General Implications of Russia-USA Geostrategic Approaches toward Sub-Saharan Africa: “Soft Power” vs. “Hard Power” Strategies in Action: Sudan Case-Study Nr. 2 (9) , Republic of Moldova pp 87-97
6. Masais V. Beraia E. (2018) “The Caucasus and its Geostrategic Positions : Energy- Transport Defence Pillars for Enhancing Gateway Region Status” “Revista Militara” Nr. 2 (18) Republic of Moldova pp 85-91